

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030441054880515

04-30/ო

30 / იანვარი / 2015 წ.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგიერთი ტერიტორიული ერთეულის რეორგანიზაციისა (ორგანიზაციული ცვლილებები) და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ზოგიერთი ტერიტორიული ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესებისა და დაკისრებული ფუნქციების ოპტიმიზაციის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 31 დეკემბრის N04-400/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 25 იანვრის N04-19/ო ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:



9. რეორგანიზებულ იქნეს ქვემო ქართლის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრი და რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრი. სააგენტოს ამ ორი ტერიტორიული ერთეულის შერწყმით (გაერთიანებით) ჩამოყალიბდეს ახალი ტერიტორიული ერთეული – ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი.

## **მუხლი 2.**

1. სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები წარმოადგენენ სამართალმემკვიდრეს რეორგანიზაციამდე (შერწყმა/გაერთიანება) არსებული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების, იმ ფუნქცია-მოვალეობებში, რაც გათვალისწინებულია რეორგანიზაციის (შერწყმის/გაერთიანების) შედეგად ჩამოყალიბებული სააგენტოს ახალი ტერიტორიული ერთეულის (სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი) დებულებით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, სააგენტოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და/ან სხვა მმართველობითი დოკუმენტებით რეორგანიზაციამდე მოქმედი ტერიტორიული ერთეულების მიმართ განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებზე, შესაბამისად, პასუხისმგებელია რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ტერიტორიული ერთეული, ამ აქტებში სათანადო ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის მიუხედავად.

3. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ, რეორგანიზაციამდე (შერწყმა/გაერთიანებამდე) არსებული სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს უნარჩუნდებათ სამართლებრივი ძალა მანამ, სანამ არ მოხდება მათი გაუქმება (ძალადაკარგულად გამოცხადება, გაბათილება, ცვლილების შეტანა და ა.შ.), მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

## **მუხლი 3.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ტიპური დებულება (დანართი N3);“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის დებულებაში“ (შემდგომში -დებულება; დანართი N1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**ბ.ა) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. დეპარტამენტის კომპეტენციის (საქმიანობის) ფარგლებში, დეპარტამენტის უფროსის მოთხოვნის, მითითების ან დავალების შესრულება სავალდებულოა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული (აჭარის ა/რ და აფხაზეთის ფილიალები, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი, სოციალური მომსახურების ცენტრი და რაიონული (საქალაქო) განყოფილება) ერთეულების ხელმძღვანელებისათვის.“;

**ბ.ბ) 62-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1<sup>1</sup>. სამმართველო დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს სამმართველოში დასაქმებული პირების, აგრეთვე, სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის მთავარი სპეციალისტების (მონიტორები) მეშვეობით.“.

**ბ.გ) 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) სააგენტოს აჭარის ა/რ ფილიალის და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების მიერ, მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობების, ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი ინვენტარის ექსპლუატაციის და მათი ექსპლუატაციისათვის საჭირო ფასეულობების ხარჯვის შემოწმებას;“.

გ) ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულების“ (დანართი N4):

**გ.ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. განყოფილება ექვემდებარება სააგენტოს ცენტრალურ აპარატს, სააგენტოს შესაბამის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს, ან სააგენტოს აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ფილიალს, ხოლო ქ. თბილისის განყოფილებები ექვემდებარებიან უშუალოდ სააგენტოს ცენტრალურ აპარატს.“;

**გ.ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. განყოფილების უფროსი უშუალოდ ემორჩილება სააგენტოს დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, შესაბამისი სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის უფროსს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.“;

**გ.დ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მ) არსებული წესების შესაბამისად, უზრუნველყოფს განყოფილებაში არსებული (დაცული, შეგროვებული, დამუშავებული) ყველა სათანადო ინფორმაციის გადაგზავნას (გადაცემას) შესაბამისი სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრისათვის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის ან/და სააგენტოს ცენტრალური აპარატისათვის;“;

**გ.ე) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. განყოფილების უფროსის მოადგილის საქმიანობის სფერო შესაძლებელია განისაზღვროს სააგენტოს დირექტორის, ან შესაბამისი სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) უფროსის, ან განყოფილების უფროსის ბრძანებით, ან ინდივიდუალური დავალებ(ებ)ით. განყოფილების უფროსის მოადგილე შესაძლებელია კურიერებდეს/ზედამხედველობდეს საქმიანობის ცალკეულ სფეროს.“.

**დ) სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N3 ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.**

**მუხლი 4.**

1. დაევალოს სააგენტოს ცენტრალური აპარატის ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (დეპარტამენტები), გაატაროს საჭირო ქმედებები, სააგენტოს შიდაორგანიზაციული საქმიანობის ამ ბრძანებით გათვალისწინებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს:

ა) სააგენტოში მოქმედი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, ამ ბრძანების დაგზავნა ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის;

ბ) ამ ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება.

### მუხლი 5.

კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

### მუხლი 6.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

### მუხლი 7.

ბრძანება ძალაშია 2015 წლის 1 თებერვლიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



გაიოზ თალაკვაძე

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ტიპური დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების (შემდგომში – „ცენტრი“) სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

### მუხლი 2. ცენტრის სტატუსი

1. ცენტრს გააჩნია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის სტატუსი, შექმნილია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით და ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს სააგენტოს სახელით შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში და აგრეთვე კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს.

2. ცენტრის საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს სამოქმედო არეალების მიხედვით წარმოადგენს:

ა) შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (განისაზღვრება შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულების მიხედვით: იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი) ხელი შეუწყოს და ზედამხედველობა გაუწიოს:

ა.ა. სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირებას, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, ბავშვზე ზრუნვის, დასაქმების ხელშეწყობისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციას;

ა.ბ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

ბ) კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე (განისაზღვრება მისი უშუალო ადგილმდებარეობის მიხედვით):

ბ.ა. სააგენტოს ფუნქციების მიკუთვნებული სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირება (დანიშვნა, შეწყვეტა, შეჩერება და სხვა), კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ.ბ. ბავშვზე ზრუნვის, სოციალური და ჯანმრთელობის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების რეალიზება და/ან ამ პროცესში მონაწილეობის მიღება, უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ.გ. მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს ფუნქციების შესრულება;

ბ.დ. „შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემის“ ფორმირებისა და დანერგვის პროცესში მონაწილეობა და კომპეტენციის ფარგლებში, დასაქმების სახელმწიფო პროგრამების რეალიზაცია და მონიტორინგი.

3. ცენტრს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად გადაცემული აქვს სახელმწიფო ქონება.

4. სააგენტოს გააჩნია ცხრა (9) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი.

5. ცენტრს გააჩნია ბეჭედი სააგენტოს საიდენტიფიკაციო კოდით და შტამპი.

6. ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელეკრულებებითა და შეთანხმებებით,

საქართველოს კანონებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სააგენტოს დებულებით, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

### **მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები**

1. დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ცენტრი სამოქმედო არეალების (როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ისე კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე) მიხედვით უზრუნველყოფს:

ა) ზედამხედველობს და აკონტროლებს:

ა.ა. ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე რაიონული (საქალაქო) განყოფილებების მიერ სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, სოციალური პაკეტის დანიშვნა-ცვლილებას და საქმისწარმოებას, არსებული წეს(ებ)ის შესაბამისად;

ა.ბ. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის, ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის ბენეფიციართა მართვისა და სოციალური დახმარების ადმინისტრირების პროცესს. აგრეთვე უზრუნველყოფს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების განმეორებით (საკონტროლო) გადამოწმებას, არსებული წეს(ებ)ის შესაბამისად;

ა.გ. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებებზე მოთხოვნის ფორმირების პროცესს;

ა.დ. ბავშვზე ზრუნვის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას;

ა.ე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების შესრულებას;

ა.ვ. მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციას;

ა.ზ. „შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემის“ ფორმირებისა და დანერგვის პროცესს, კომპეტენციის ფარგლებში;

ა.თ. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციას, კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) ცენტრისა და მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რაიონული (საქალაქო) განყოფილებების ლოჯისტიკისა და სამეურნეო-საფინანსო უზრუნველყოფის მიზნებისათვის:

ბ.ა. ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების დადგენას, მოთხოვნისა და მიწოდების დაგეგმვას;

ბ.ბ. მატერიალურად პასუხისმგებელია არსებულ აქტივებზე;

ბ.გ. ანაწილებს მიღებულ მატერიალურ ფასეულობებს;

ბ.დ. ორგანიზებას უწევს ბავშვზე ზრუნვის საბჭოს მუშაობას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის ცენტრალურ აპარატს;

ბ.ე. სააგენტოს დირექტორის ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს სამეურნეო-საფინანსო და საკონტრაქტო ფუნქციებს;

ბ.ვ. უზრუნველყოფს ელექტრონული ქსელის და პროგრამების გამართულ მუშაობას;

გ) სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და რაიონული (საქალაქო) განყოფილებებს შორის კომუნიკაციის მიზნით:

გ.ა. უზრუნველყოფს ოპერატიულ დავალებათა/ღონისძიებათა შესრულებას და მის შესრულებაზე ზედამხედველობას;

გ.ბ. რაიონული (საქალაქო) განყოფილებების რგოლებამდე დაყავს სამართლებრივი დოკუმენტები და საგანგებო დავალებები;



გ.გ. ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფას, კონსულტირება-განმარტებებს, მოქალაქეთა მიღებას, პასუხობს შემოსულ კორესპონდენციას,

გ.დ. უზრუნველყოფს სააგენტოს ცენტრალური აპარატისათვის საანგარიშო ინფორმაციის წარდგენას, ტექნოლოგიური და ლოჯისტიკური პროცესების გაუმჯობესების საჭიროებებისა და წინადადებების მიწოდებას;

გ.ე. დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სხვა ორგანიზაცია დაწესებულებებთან, კერძო პირებთან;

დ) ადამიანური რესურსების განვითარების მიზნებისათვის:

დ.ა. ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების პრევენციის მიზნით შესაბამისი დასაქმებულებისათვის ატარებს დამატებით სწავლებებს;

დ.ბ. ახორციელებს ცენტრისათვის და რაიონული (საქალაქო) განყოფილებებისათვის საჭირო კადრების შერჩევას, კანდიდატთა და დასაქმებულთა მოკლევადიან წვრთვნასა და გადამზადებას;

ე) კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე (ცენტრის უშუალო ადგილმდებარეობის მიხედვით) უზრუნველყოფს:

ე.ა. კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში ღებულობს გადაწყვეტილებებს სოციალური დახმარების, სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, სოციალური პაკეტის დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, განახლების ან დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე;

ე.ბ. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს მამიებელი ოჯახების განაცხადის მიღებასა და ბაზაში განთავსებას, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას და „ოჯახის დეკლარაციის“ (ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის) ბაზაში განთავსებას და ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის დანიშვნასთან, შეჩერებასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული მონაცემების ბაზაში განთავსებას;

ე.გ. შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით ამზადებს, ამუშავებს და სააგენტოს ცენტრალურ აპარატს წარუდგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გასაცემად საჭირო დოკუმენტაციას;

ე.დ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეისწავლის და წყვეტს საკითხებს შვილად აყვანის მიზნით დაინტერესებულ პირთა აღრიცხვაზე აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ არასრულწლოვანთათვის გასაშვილებელის სტატუსის მინიჭების თაობაზე, აწარმოებს მშვილბელთა და გასაშვილებელ ბავშვთა ადგილობრივ რეესტრს და მათ შესახებ წარადგენს ინფორმაციას სააგენტოს ცენტრალურ აპარატში;

ე.ე. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დედობილ/მამობილის სტატუსის მინიჭებას/რეგისტრაციას, დედობილ/მამობილთა რეგისტრაციის განახლებას/შეწყვეტას, შვილობილად აყვანას დაქვემდებარებულ ბავშვთა რეგისტრაციასა და მათ შესახებ ინფორმაციის სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარდგენას;

ე.ვ. შეისწავლის და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირებისათვის მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების ან გაუქმების თაობაზე;

ე.ზ. უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს სახელით მონაწილეობა სასამართლო საქმის წარმოებაში (მათ შორის როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი არასრულწლოვან ან ქმედუუნარო პირთა კანონიერი ინტერესების დასაცავად);

ე.თ. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადებასა და საბჭოს სხდომაზე გატანასთან დაკავშირებით საჭირო დონისძიებების გატარებას;

ე.ი. სამოქმედო ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასა და ზედამხედველობს მათ მიმდინარეობას;

ე.კ. სათანადო ინფორმაციის დამუშავების გზით, მონაწილეობს სააგენტოს ერთიანი საინფორმაციო (მონაცემთა) ბაზების ფორმირებაში;

ე.ლ. კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის და დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას, მათ შორის, „შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემის“ ფორმირებისა და დანერგვის პროცესთან და/ან დასაქმების სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებით;

ე.მ. საკუთარი მიზნების მისაღწევად, დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად და სათანადო ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის, კომპეტენციის ფარგლებში, „შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემის“ ფორმირებისა და დანერგვის მიზნით, კონსულტაციებს უწევს და თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) ცენტრის საქმიანობის ანალიზის შედეგად უზრუნველყოფს წინადადებების წარდგენას ცენტრალური აპარატისათვის;

ზ) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს დირექტორის და/ან სააგენტოს დირექტორის მოადგილის მიერ მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ცენტრი:

ა) კანონმდებლობის შეასაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (გადაწყვეტილებები, ბრძანებები);

ბ) ამზადებს დასკვნებსა და შუამდგომლობებს შვილად აყვანის, მიდნობით აღზრდის, მეურვეობის/მზრუნველობის საკითხებზე, წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს (დასკვნებს) საოჯახო დავებში არასრულწლოვანთა კანონიერი ინტერესების დაცვის თაობაზე;

გ) იხილავს და წყვეტს დაინტერესებულ პირთა მიმართებს, განცხადებებსა და საჩივრებს;

დ) წარმოადგენს სააგენტოს დაინტერესებულ პირებთან შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, უზრუნველყოფს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის სახელით სასამართლოში წარმომადგენლობას მოსარჩელედ, მოპასუხედ ან მესამე პირად;

ე) უფლებამოსილია, გასცეს მოწმობები, ცნობები და სხვა ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) სამსახურებრივი საჭიროებისამებრ, წერილობით მიმართავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

ზ) წარუდგენს სააგენტოს ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

თ) ასრულებს სააგენტოს დირექტორისა და/ან დირექტორის მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

#### **მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელობა**

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი.

2. ცენტრის უფროსი უშუალოდ ემორჩილება სააგენტოს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

### 3. ცენტრის უფროსი:

ა) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული მიზნების, ამოცანების, ფუნქციებისა და დავალებების შესრულებაზე;

ბ) წარმართავს და ხელმძღვანელობს ცენტრის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

გ) ანაწილებს ფუნქციებსა და მოვალეობებს ცენტრისა და ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე რაიონული (საქალაქო) განყოფილებების თანამშრომლებს შორის, ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას მათ საქმიანობაზე და დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

დ) მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს \_ ბრძანებას;

ე) სააგენტოსთან შეთანხმებით გეგმავს და ახორციელებს პერიოდულ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიული ერთეულების საქმიანობაზე, წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას სააგენტოს ხელმძღვანელობას;

ვ) უფლებამოსილია, ცენტრისა და ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე სააგენტოს რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებში დასაქმებული თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის ზომები, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ზ) უფლებამოსილია, ცენტრსა და ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე სააგენტოს რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებში დასაქმებულ პირებზე გასცეს მინდობილობები სასამართლოში, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში თუ დაწესებულებაში წარმომადგენლობის გასაწევად;

თ) პასუხისმგებელია ცენტრისათვის გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დანიშნულებისამებრ და მიზნობრივად ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ი) სააგენტოს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს ცენტრის და ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რაიონული (საქალაქო) განყოფილებების საკადრო რესურსების, მუშაობის ორგანიზების, თანამშრომლებისათვის პრემიის დანიშვნის, მათი წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

კ) ხელმოწერით ადასტურებს ან ვიზას ადებს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს;

ლ) ცენტრის თანამშრომლებსა და მის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს აცნობს (გადასცემს) სააგენტოს დირექტორის ბრძანებებს, მითითებებს, რეკომენდაციებს, დირექტივებსა და სხვა საჭირო მასალებსა თუ დოკუმენტებს;

მ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ნ) უზრუნველყოფს ცენტრში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მოვლა-პატრონობას და პასუხისმგებელია მათ მდგომარეობაზე;

ო) დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, პერიოდულად წარადგენს სააგენტოს ცენტრალურ აპარატში ცენტრისა და მის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე სააგენტოს რაიონული (საქალაქო) განყოფილებების მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით;

პ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებს სააგენტოს დირექტორის და სააგენტოს დირექტორის მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

4. ცენტრის უფროსს ჰყავს მოადგილე (მოადგილეები), რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში ასრულებს უფროსის მოვალეობებს. ცენტრის უფროსის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი.

5. ცენტრის უფროსის მოადგილეს, ცენტრის უფროსის მოვალეობის შესრულება აგრეთვე შეიძლება დაეკისროს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

6. ცენტრის უფროსის მოადგილის საქმიანობის სფერო შესაძლებელია განისაზღვროს სააგენტოს დირექტორის ან ცენტრის უფროსის ბრძანებით, ან ინდივიდუალური დავალებ(ებ)ით. ცენტრის უფროსის მოადგილე შესაძლებელია კურირებდეს/ზედამხედველობდეს საქმიანობის ცალკეულ სფეროს.

#### **მუხლი 5. ცენტრის თანამშრომლები**

1. ცენტრის სამტატო რიცხოვნობა განისაზღვრება სააგენტოს სამტატო განრიგით.

2. ცენტრის თანამშრომლებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი.

3. ცენტრის თანამშრომლები ასრულებენ ამ დებულებით, მოქმედი კანონმდებლობით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ფუნქციებს და მათი განხორციელებისას ემორჩილებიან ცენტრის უფროსს და/ან უფროსის მოადგილეს.

#### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ნორმები სავალდებულოა შესასრულებლად სააგენტოს ყველა შესაბამისი ტერიტორიული ერთეულისათვის.

2. დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.